პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 დეკემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 245 (9656) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# თბილისის „დინამო" ბრემენს მიემგზავრება

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები 25 დეკემბერს მიემგზავრებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კერძოდ, ისინი ესტუმრებიან ქალაქ ბრემენს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს უცხოეთის რამდენიმე ცნობილი გუნდი.

მკითხველის თხოვნით

# ვინ შევა უძლიერესთა ათეულში?

ვინ იქნება წლის საუკეთესო სპორტსმენი, მწვრთნელი, გუნდი? ჩვენი გაზეთი კარგა ხანია აცნობს მკითხველებს კანდიდატებს. რაც უფრო ახლოვდება ლაურეატთა გამოვლენის დრო, მით უფრო მეტი წერილი მოდის რედაქციაში, გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ იმ სპორტსმენთა საერთო სია, რომლებმაც წლეულს თავი გამოიჩინეს სხვადასხვა შეჯიბრებაში. ეს მკითხველებს შესაძლებლობას მისცემს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვაში, ხელს შეუწყობს ობიექტურობას. ვასრულებთ თხოვნას, ამასთან ვაქვეყნებთ ანკეტას. სპორტსმენთა სიას გთავაზობთ ანბანის მიხედვით, თქვენ კი ანკეტაში კანდიდატურები უნდა დაასახელოთ მათი სიძლიერის მიხედვით.

**მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა)** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

**ქეთევან არახამია (ჭადრაკი)** — გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, დაიკავა მესამე ადგილი საკავშირო ჩემპიონატში, მეორე ადგილი — საზონათშორისო ტურნირში, შეასრულა საერთაშორისო ოსტატისა და საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივები.

**მალხაზ ბერუაშვილი (სამბო, ქართული ჭიდაობა)** — საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი სამბოში, საქართველოს ფალავანი.

**ჭიდაობა)** — მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის, გაიმარჯვა საკავშირო თასის გათამაშებაში.

**გიორგი თენაძე (ძიუდო)** — ევროპის ჩემპიონი, დაიკავა მეორე ადგილი თბილისის საერთაშორისო ტურნირში.

**ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა)** — ევროპის ჩემპიონი.

**ნანა იოსელიანი (ჭადრაკი)** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, გაიმარჯვა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში.

**ლეილა მესხი (ჩოგბურთი)** — მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი ერთეულთა და წყვილთა თანრიგში, შერეულ წყვილებში მოიპოვა ვერცხლის მედალი.

**კახა ლომიშვილი (საბაიდარო ნიჩბოსნობა)** — წლეულს ცხრა მედალი მოიპოვა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, დაიკავა მეთხე ადგილი მსოფლიო თასის გათამაშებაში.

**ჯემალ მჭედლიშვილი (სამბო)** — მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

**ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)** — მსოფლიო ჩემპიონი (გუნდური პირველობა), პირად პირველობაში დაიკავა მეოთხე ადგილი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი იუნიორთა შორის. გაიმარჯვა მსოფლიო თასის გათამაშებაში და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მოიპოვა ოთხი ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე.

**ხარლამ სიმონია (ცხენოსნობა).** — საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, დაიკავა მე-3 ადგილი სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ტურნირზე.

**გიორგი სირბილაძე და ნიკოლოზ მიქაუტაძე** (აკადემიური ნიჩბოსნობა) —გაიმარჯვეს საკავშირო თასის გათამაშებაში.

**ანა როსტიაშვილი (წყალში ხტომა)** — ლონდონის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული.

**ქრისტინა ფალასანიძე (სინქრონული ცურვა)** — სსრკ ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფურ ვარჯიშში მოიპოვა ვერცხლის მედალი.

**მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)** — 1987 წლის „ოსკარის" მფლობელი.

**გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა)** — ევროპისა და სსრკ ჩემპიონი, დაიკავა მეორე ადგილი მსოფლიო თასის გათამაშებაში, მესამე — მსოფლიო უნივერსიადაზე.

**ნუგზარ ძაგნიძე (რეგბი)** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

**რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა)** — ევროპის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში. დაიკავა მესამე ადგილი პირად პირველობაში, მეორე — წყვილთა შეჯიბრებაში.

**ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)** — მსოფლიოს, ევროპისა და სსრკ ჩემპიონი.

**ვახტანგ ჯაფარიძე (ძიუდო)** — ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის, სსრკ ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

**შენიშვნა: ჩამონათვალში შესული არ არის მოსწავლეთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები. წლის საუკეთესო სპორტსმენთა სიაში შევიდნენ მხოლოდ მოზრდილები და იუნიორები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.**

## ანკეტა

**1987 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად.**

1. — — — — — — — — — — — — — —
2. — — — — — — — — — — — — — —
3. — — — — — — — — — — — — — —
4. — — — — — — — — — — — — — —
5. — — — — — — — — — — — — — —
6. — — — — — — — — — — — — — —
7. — — — — — — — — — — — — — —
8. — — — — — — — — — — — — — —
9. — — — — — — — — — — — — — —
10. — — — — — — — — — — — — — —

**თქვენი სახელი და გვარი, ასაკი.**

**შენიშვნა: ანკეტა უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში 25 დეკემბრამდე. ანკეტის შევსებისას გაითვალისწინეთ სპორტსმენის მიერ წელს ნაჩვენები შედეგები და მისი პოპულარობა (ანკეტა შეგიძლიათ გაზეთიდან არ ამოჭრათ და ნიმუში თავად შეადგინოთ).**

**კარგი იქნება თუ თქვენ აზრს ცალკე მოგვაწოდებთ იმის შესახებაც, თუ ვინ მიგაჩნიათ წლის საუკეთესო გუნდად და მწვრთნელად.**

**ირაკლი გვარამაძე (ფარიკაობა, ხმალი)** — მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის მედალოსანი გუნდურ ჩათვლაში.

**გურამ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა)** — მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, დაიკავა მეორე ადგილი საკავშირო ჩემპიონატში.

**მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი)** — ევროპის ჩემპიონი.

**ბესიკ გოცირიძე (მძლეოსნობა)** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

**ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში)** — მოიპოვა 3 ოქროს და 4 ვერცხლის მედალი აშშ-ის ღია ჩემპიონატში.

**დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)** — მსოფლიო თასის მფლობელი.

**გელა დარსაძე (კალათბურთი)** — IV ადგილი სსრკ ჩემპიონატში.

**თენგიზ თედორაძე (კლასიკური**

**თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა)** — ევროპის ჩემპიონი და თასის მფლობელი, დაიკავა მეორე ადგილი მსოფლიო თასის გათამაშებაზე პირად პირველობაში.

**ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი)** — ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში.

**აკაკი კიბორძალიძე (ძიუდო)** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი.

**კობა კურტანიძე (ძიუდო)** — ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი.

**ბესარიონ ლილუაშვილი, (რეგბი)** — სსრკ ჩემპიონი, და თასის მფლობელი.

**აკაკი მახარაძე (ფარიკაობა, ხმალი)** — მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის მედალოსანი გუნდურ ჩათვლაში.

# მალხაზ ბერუაშვილი სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონია



19 დეკემბერს გორმა პირველად უმასპინძლა საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ პირველობას სამბოში, ჟურნალ „სოვეტსკი ვოინ"-ის პრიზზე. ამ საპატიო ტიტულისათვის ჩვენი ქვეყნის 14 რჩეული მძიმე წონის მოჭიდავე იბრძოდა. ასპარეზობამ არნახული ინტერესი გამოიწვია ქალაქში, საჭიდაო დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა შეჯიბრების უნაკლოდ ჩასატარებლად.

ამ წერილის სათაური ბევრს მიგანიშნებთ, მაგრამ აქვე გვინდა ვთქვათ, რომ თავი გამოიჩინა აბსოლუტური ჩემპიონის უმცროსმა ძმამ გელა ბერუაშვილმაც, რომელიც ყველაზე უმცროსი იყო მონაწილეთა შორის. იგი გამოდიოდა პროფკავშირების სახელით და რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაამარცხა (თანაქალაქელი ა. გულიაშვილი, მოსკოველი ე. კალმიკოვი, ოდესელი მ. ჯაფარიძე), მაგრამ ქულებით წააგო ჯერ ი. ჯიჩოშვილთან, რითაც მას გზა „გაუხსნა" ნახევარფინალისაკენ და მერე სიმფეროპოლელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ, ევროპის ჩემპიონ ვიქტორ სერდიუკოვთან.

ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა მალხაზ ბერუაშვილმა, რომელსაც უფრო ძიუდოში მოპოვებული წარმატებებით ვიცნობთ, სამბოშიც გამოავლინა თავისი ფიზიკური ძალა და მაღალი ტექნიკა. მან ყველა მეტოქეს ფარხმალი დააყრევინა და ფინალისაკენ გზა გაიკაფა. გადამწყვეტი შერკინება ბერუაშვილსა და ოდესელ ვიქტორ სერდიუკოვს შორის ქართველი მოჭიდავის აშკარა

იხ. მე-2 გვ.

მიმდინარეობს რაიონული და საქალაქო კონფერენციები

# დასახეს მომავლის ამოცანები

საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული ატმოსფერო სუფევდა პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წითელწყაროს რაიონული საბჭოს პირველ კონფერენციაზე. კონფერენციის დელეგატებს შორის იყვნენ რაიონის ცნობილი ადამიანები: ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე, პროფკავშირების რაიონული საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მამაიაშვილი.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს რაიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კონფერენციამ აირჩია პ. აპტატიშვილი.

**ელგუჯა თეთვაძე,**
**რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.**

# მშვიდობიანი დასაწყისი

**ბელგიის** დედაქალაქ ბრიუსელში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა მეტად საინტერესო შერეული ტურნირი. როგორც გახსოვთ, ჩვენი გაზეთის საშუალებით გაცნობეთ, რომ თანამედროვეობის ოთხი წამყვანი მოჭადრაკე ქალი — მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) და პია კრამლინგი (შვეცია) — ორ-ორჯერ შეხვდება 4 დიდოსტატ ვაჟს — ერიკ ლობრონს (გფრ), ლუი ვინანტსს (ბელგია), მაქსიმ დლუგის (აშშ) და უილიამ უოტსონს (ინგლისი).

პირველ ეტაპზე ყველა პარტია მშვიდობიანად დამთავრდა. დაზავდნენ გაფრინდაშვილი—ლობრონი, ჩიბურდანიძე — დლუგი, პოლგარი—ვინანტსი, კრამლინგი — უოტსონი.



დამთავრდა იუნიორ მოკრივეთა VI საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზებზე (იხ. მე-8 გვ.).

# სამი ღირსების რაინდი

## ჯემალ მჭედლიშვილი



**დაიბადა 1962 წელს ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სამბოსა და ძიუდოში. არმიის სპორტული კლუბი, თბილისი. 1983 წელს დაამთავრა გორის პედინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი. მწვრთნელი — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი. ჭიდაობა დაიწყო 1974 წელს, ჯერ ქართული, მერე ძიუდო, ბოლოს სამბო. ორჯერ (1985 და 1986 წლებში) საქართველოს აბსოლუტური ფალავანი იყო. სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის და ევროპის ძიუდოისტთა ახალგაზრდული ჩემპიონატისა და 1983 წლის საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი. 1987 წელს მოიგო სამბისტთა საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები.**

ერთი სპორტული სეზონი მან მართლაც მაქსიმალურად გამოიყენა: სამბოში ჩვენი ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მკითხველს განსაკუთრებით მილანში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დეტალები აინტერესებს, რომლის შესახებაც პრესაში არაფერი თქმულა და დაბეჭდილა. ამიტომ ჩვენი საუბრის თემას სწორედ ეს ტურნირი შეადგენდა.

**⊙ სპორტის მოყვარულები თქვენ როგორც ქართულ მოჭიდავესა და ძიუდოისტს გიცნობენ. სამბოში როგორღა მოხვდით?**

— შარშან სამბისტები ლვოვში მიემგზავრებოდნენ საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. 82 კილოგრამში რესპუბლიკის ნაკრებს არ ჰყავდა ღირსეული კანდიდატი და ეს ადგილი მე შემომთავაზეს. არ დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. რესპუბლიკის ინტერესებისთვის სპორტსმენმა, თუ საჭირო გახდა, მსხვერპლიც უნდა გაიღოს.

**⊙ თქვენს გადაწყვეტილებას ძნელია მსხვერპლის გაღება ვუწოდოთ...**

— ეს დღეს, როცა უკვე იცით, რომ არჩევანი სწორი იყო, მაგრამ მაშინ, როცა საკავშირო თასზე მივემგზავრებოდი, სამბოსი არაფერი გამეგებოდა.

**⊙ მაგრამ საკუთარი თავის იმედი, ალბათ, მაინც გქონდათ. წინაამდეგ შემთხვევაში თქვენი თანხმობა ყოვლად გაუმართლებელი რისკი იქნებოდა.**

— იმედს უმთავრესად ქართული ჭიდაობის ცოდნაზე ვამყარებდი და, როგორც ხედავთ, არ მოვტყუვდი.

**⊙ ქართული ჭიდაობა თქვენ ალბათ ძიუდოშიც გეხმარებათ?**

— რა თქმა უნდა მეხმარება, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ უფრო ნაკლებად, ვიდრე სამბოში.

**⊙ საინტერესოა რატომ, რა მიზეზით?**

— ქართულ ჭიდაობაში ქამარში ხელის ჩავლება და ასე ბრძოლა თავისებური ტაქტიკაა. ძიუდოში ჩავლების დრო მკაცრად არის ლიმიტირებული, სამბოში კი არა. გარდა ამისა ცალმხრივი დგომი ძიუდოში ნებადართული არ გახლავთ, სამბოში — პირიქით. ერთი სიტყვით ჩემთვის, როგორც ქართული ჭიდაობის სპეციალისტისთვის, სამბო ადვილად ასათვისებელი გამოდგა.

**⊙ მაგრამ სამბისტი ხომ გარკვეულწილად ჩოქბჯენში ჭიდაობასაც უნდა იყოს დაუფლებული?**

— მე დგომში ჭიდაობა მიყვარს, ყველა ილეთს ამ პოზიციაში ვატარებ და ვცდილობ საქმე ჩოქბჯენამდე არ მივიყვანო. ჯერჯერობით ეს გამომდის. რა მოხდება მერე — ვნახოთ...

**⊙ მსოფლიო ჩემპიონატში ვისთან მოგიხდათ ჭიდაობა?**

— სულ ხუთი ბრძოლა ჩავატარე იტალიელ, იაპონელ, ბულგარელ, ამერიკელ და ესპანელ მოჭიდავეებთან. ყველა ბრძოლა წმინდად მოვიგე. ზოგი შეხვედრა ეფექტური ილეთებით დავამთავრე, ორჯერ კი მეტოქე პასიურობისთვის მოხსნეს.

**⊙ ვინ იყო, თქვენი აზრით, ამ ხუთეულიდან ყველაზე ძლიერი და ღირსეული მოწინააღმდეგე?**

— ბულგარელი მოჭიდავე, რომელსაც მესამე წრეში შევხვდი. ფიზიკურად ძალზე ძლიერია. მას ფაქტიურად მხოლოდ 2 ქულა ავართვი. მერე მსაჯებმა პასიურობისთვის სამჯერ გააფრთხილეს და მოხსნეს.

**⊙ გადამწყვეტი ბრძოლა ვისთან გქონდათ?**

— ეს შეხვედრა ფაქტიურად ევროპის ჩემპიონატის ფინალის განმეორება იყო. მაშინაც და ეხლაც ბრძოლა გამოცდილ ესპანელ სამბისტთან მომიხდა. თავიდან შეუპოვარ წინააღმდეგობას მიწევდა, მაგრამ მერე მოტყდა. როცა ქულათა სხვაობა თორმეტამდე ავიდა, მსაჯებმა წესების თანახმად შეწყვიტეს ბრძოლა და მე წმინდა გამარჯვება მომანიჭეს.

**⊙ როგორც ჩვენთვის ცნობილია ყველა უძლიერესი სამბისტი ჯერჯერობით ევროპაში ცხოვრობს, ამიტომ კონტინენტის ჩემპიონატში გამარჯვება ფაქტიურად მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებას ნიშნავს. ასეა თუ არა?**

— აქამდე მართლაც ასე იყო, მაგრამ ბოლო დროს ოსტატობა მნიშვნელოვნად აიმაღლეს მონღოლეთის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების სამბისტებმა. ასე რომ მსოფლიო ჩემპიონატი მაინც მსოფლიო ჩემპიონატია.

**⊙ საბჭოთა სპორტსმენები სამბისტთა საერთაშორისო ტურნირებს მუდამ ადვილად, დიდი უპირატესობით იგებდნენ. ამჯერადაც ასე იყო?**

— ახლა მსოფლიოში ბევრი ნიჭიერი სამბისტი გამოჩნდა და ჩვენს ბიჭებს ადრინდელი წარმატებების გამეორება აშკარად უჭირთ. მეტსაც გეტყვით, 57 და 100 კილოგრამში სრულებით არ გამიკვირდებოდა

### ტურნირის ექო

მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი რომელიმე უცხოელ მოჭიდავეს რომ მიეღო. ისინი ჩვენს ჩემპიონებს ტოლს არაფერში უდებდნენ.

**⊙ როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენმა ჭიდაობამ სპეციალისტებზე, ჩვენი ნაკრების მწვრთნელებზე?**

— მე, როგორც არასამბისტი, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ პრეტენზიები ჩემს მისამართით არავის გამოუთქვამს. პრიქით, ფინალური შეხვედრისათვის კარგა გვარიანადაც შემაქეს.

**⊙ თქვენი მუდმივი წონა 82 კილოგრამს აღემატება. ხომ არ აპირებთ წონითი კატეგორიის შეცვლას?**

— წონის დაკლება სრულებით არ მიჭირს. 5-6 კილოგრამი ჩემთვის არაფერს ნიშნავს.

**⊙ აპირებთ თუ არა ძიუდოში დაბრუნებას? საბოლოოა თუ არა თქვენი ახლანდელი არჩევანი?**

— ამ კითხვაზე პასუხს ჯერ ვერ გაგცემთ, ვინაიდან საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია.

**⊙ მაშინ კითხვას ოდნავ შევცვლით: სად არის უფრო ადვილი ჩემპიონის ტიტულის მოპოვება— სამბოში თუ ძიუდოში?**

— მიზნის მიღწევა სამბოში უფრო ადვილი ყოფილა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სპორტსმენს სირთულეების დაძლევის სურვილი მუდამ უნდა ჰქონდეს. ასე რომ, ძიუდოზე საბოლოოდ ხელი ჯერ არ ამიღია.

**⊙ თქვენს ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში ჩატარდა შეჯიბრება ფალავნობაზე. მჭედლიშვილის გამოსვლას აქ მაყურებელი მოუთმენლად ელოდა.**

— ამ ტურნირში მონაწილეობა გადაწყვეტილი მქონდა. სამწუხაროდ მსოფლიო ჩემპიონატისა და ფალავნობის ვადები ერთმანეთს დაემთხვა და თბილისში ჩამოსვლა ვეღარ მოვასწარი.

**⊙ ფალავნობასთან დაკავშირებით ერთი რამ გვაინტერესებს. თქვენ 82 კილოგრამს იწონით, აბსოლუტურ პირველობაზე კი 100 კილოგრამს გადაცილებული ფალავნები გამოდიან. არ გიჭირთ მათთან შებრძოლება?**

— შენი წონის მოჭიდავესთან შერკინება, რა თქმა უნდა,. უფრო ადვილია, მაგრამ ვინც ფალავნობას აპირებს, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. მე, მაგალითად, ჩემს მეტოქეებს ხუთი თითივით ვიცნობ და ვიცი ვისთან როგორ ვიჭიდავო.

ინტერვიუ აიღო
ნოდარ ახვლედიანმა.

# მალხაზ ბერუაშვილი სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონია

დასასრული

უპირატესობით აღინიშნა — 12:0. მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა და წმინდა გამარჯვება თბილისელ ფალავანს მიანიჭეს, მალხაზ ბერუაშვილი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილი გაიყვეს თბილისელმა იოსებ ჯიჩოშვილმა და ტულელმა მოგამედხან გამზადხანოვმა.

აბსოლუტურ ჩემპიონს და საპრიზო ადგილებზე გამოსულ ფალავნებს სპეციალური პრიზი და ფასიანი საჩუქრები გადასცა ჟურნალ „სოვეტსკი ვოინი"-ს წარმომადგენელმა იური სოროკინმა.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს" ზონალური კორესპონდენტი.

**სპეციალისტის კომენტარი:**

**შეჯიბრების დამთავრების შემდეგ აზრის გაზიარება ვთხოვეთ სსრ კავშირის სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელს სამბოში ვასილ ნიკიშინს. აი, რა გვითხრა მან:**

სამბისტთა აბსოლუტური პირველობა გორში ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, რისთვისაც ქალაქის ხელმძღვანელობა და სპორტული ორგანიზაციები მადლობას იმსახურებენ. გულახდილად უნდა გითხრათ, გაგვაოცა ადგილობრივ გულშემატკივართა ინტერესმა და ყურადღებამ. ასეთ პირობებში ჭიდაობა ერთი-ორად უფრო სასიამოვნოა.

კმაყოფილი ვართ სპორტსმენთა მომზადების დონითაც. თითქმის ყველა შეხვედრა დაძაბულ და უკომპრომისო ბრძოლაში ჩატარდა. როგორც ჩანს, მაყურებლების ენთუზიაზმი მონაწილეებსაც გადაედოთ. გამორჩეულ მოჭიდავეთათვის მასპინძლებმა ორი სპეციალური პრიზი დააწესეს: ერთი (საუკეთესო ტექნიკისათვის) საბჭოთა კავშირის ახალმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა მალხაზ ბერუაშვილმა მიიღო (მწვრთნელი დილარ ხაბულიანი), მეორე კი (გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის) ტულელ მოჰამედხან გამზათხანოვს გადაეცა.



### საბავშვო ბაღიდან იწყება

კიდევ ერთი ლამაზი და საინტერესო ღონისძიებით გამდიდრდა ბავშვთა სპორტული შეჯიბრებების კალენდარი. „დედა, აღმზრდელი და მე" — ასე ჰქვია ამ ახალ ასპარეზობას. პირველმა შეჯიბრებამ, რომელიც საზეიმო ვითარებაში ჩატარდა თბილისის 27-ე ბაგა-ბაღში, დიდი ინტერესი გამოიწვია. სურათებზე, რომლებსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ამ ასპარეზობის მომენტებია ასახული.

ალექსანდრე კოტორაშვილის
ფოტოები.



# წლის ბოლო სტარტი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს პირველობა მოზარდთა შორის (საკავშირო პირველობის შესარჩევი ტურნირი). როგორც იცით, I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები საკავშირო პირველობის საგზურებს იღებდნენ.

გოგონათა შორის 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულით გაიმარჯვა თბილისის 132-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ნინო ხურციძემ (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ელგუჯა ფხაკაძე).

წლევანდელი წელი იღბლიანი გამოდგა ნინოსთვის. სექტემბერში მან ყველას აჯობა რესპუბლიკის გოგონათა (უმცროსი ასაკი) პირველობაში. შემდეგ უფროსი ასაკის გოგონათა ტურნირში ითამაშა წარმატებით (V ადგილი).

7-7 ქულით II-III ადგილები გაინაწილეს თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ნათია ჯანჯღავამ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე იზვოზჩიკოვი) და თბილისის 181-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა იამზე თვაურმა (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ვლადიმერ ურიდია). უკეთესი კოეფიციენტის გამო II ადგილი ჯანჯღავას მიეკუთვნა.

ნათიამაც წარმატებით განვლო წლევანდელი სეზონი. იანვარში მან გოგონათა საკავშირო პირველობაში IV-VIII ადგილები გაიყო. შემდეგ კადეტთა შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში II ადგილი დაიკავა, ხოლო რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გოგონათა შორის I ადგილი მოიპოვა.

ჭაბუკთა შორის 11-დან 8,5 ქულით ყველას აჯობა ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა რომან სიჭინავამ (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი გოჩა ტყებუჩავა).

რომანმა კარგად ითამაშა მიმდინარე წლის იანვარში კადეტთა საკავშირო პირველობაზე (VI-VII). შემდეგ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, ახლახან ოქტომბერში მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

8 ქულით II ადგილზე გავიდა ჩოხატაურის მე-6 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი გია გოგოლაძე (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ამირან ბერძენიშვილი).

წელს კადეტთა საკავშირო პირველობაზე მან სიჭინავასთან ერთად გაიყო VI-VII ადგილები. შემდეგ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში ითამაშა, კარგად გამოვიდა საქართველოს ჩემპიონატში (I ლიგა).

7,5 ქულით III ადგილი თბილისის 171-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა, ოსტატობის კანდიდატმა აკაკი იაშვილმა (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი გიორგი მაჭარაშვილი) დაიკავა.

როგორც ტურნირმა გვიჩვენა, ბევრი მოზარდი სუსტად თამაშობს. მათ ძირითადად დებიუტების დაზეპირების ხარჯზე უნდათ ფონს გასვლა. მიტელშპილში უჭირთ პოზიციის შეფასება, მოიკოჭლებენ ენდშპილში. ეს იმის შედეგია, რომ ადგილებზე მოისუსტებს მუშაობა, მოზარდები არ იცავენ სპორტულ რეჟიმს, რის გარეშეც წარმოუდგენელია წარმატების მოპოვება.

მეტად საკვირველია, რომ შეჯიბრებაში მონაწილე ქუთაისელი მოზარდები თემურ მასხარაშვილი და ალექსანდრე ყაშაშვილი ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებული, მათ მწვრთნელი არ ჩამოჰყვათ.

**ამირან ბერძენიშვილი,**
**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი.**

### მოკლედ

**თერჯოლაში** ჩატარდა რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა პირველობა მცირე ბირთვისა და ყუმბარის ტყორცნაში.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა თერჯოლის მეორე საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივმა, მეორე და მესამე ადგილებზე კი გავიდნენ ჩხარისა და ქვედა სიმონეთის საშუალო სკოლების მოსწავლე სპორტსმენები.

რვაწლიან სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს თავარისა, ხოლო მეორე — სათემოს რვაწლიანი სკოლების წარმომადგენლებმა.

**ვანო კუტალაძე,**
**„ლელოს" კორესპონდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# პრობლემა ჯერ კიდევ ბევრია

თბილისი. სპორტის სასახლე. 19 დეკემბერი.

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 97:74 (51:40).

„ჟალგირისი“: ეინიკისი (20), კრაპიკასი (18), ხომიჩუსი (16), ვისოცკასი (11), ჩივილისი (9), ვენცლოვასი (7), მარკიავიჩუსი (6), კურტინაიტისი (6), ლეკარაუსკასი (2), ბრაზდაუსკისი (2), იოვაიშა.

„შახტიორი“: კროპაჩოვი (15), ერმოლინსკი (13), ივახნენკო (10), პოლოვიანოვი (9), ლუკიანეცი (7), კაჩურა (6), შესტოპალი (6), გაზაევი (4), ზავალინი (3), ვოვჩუკი (1).

მსაჯები: მ. ბერნატსი (ლიეპაია), ს. ფომინი (სმოლენსკი).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე, 19 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 98:82 (46:38).

„დინამო“: დარსაძე (24), კაპუსტინი (21), ტიუბინი (14), ბოროდაჩოვი (13), ოპოშნიანი (8), შენგელია (8), ტალაბაძე (4), კოლიჩევი (4), უსტიაშვილი (2), ფერიაშვილი.

„სტატიბა“: ბაჩიანსკასი (18), მარჩიულიონისი (14), ვილკასი (9), დარულისი (9), მატკიავიჩუსი (8), პოციუსი (8), ვაინაუსკასი (6), კმიჩა (6), პენიკასი (2), გრიგასი (2).

მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაქო), ვ. ბიჩკოვი (მოსკოვის ოლქი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 დეკემბერი.

„შახტიორი“ (დონეცკი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 82:81 (37:40).

„შახტიორი“: ივახნენკო (25), ერმოლინსკი (17), კროპაჩოვი (15), კაჩურა (11), ლუკიანეცი (7), ზავალინი (5), ივჩატოვი (2), პოლოვიანოვი, შევჩენკო, შესტოპალი.

„სტატიბა“: მარჩიულიონისი (36), ვაინაუსკასი (19), მატკიავიჩუსი (14), დარულისი (8), ბაჩიანსკისი (2), ვილკასი (2), პენიკასი, პოციუსი, დაბრაუსკასი.

მსაჯები: ე. რესერი (მოსკოვი), ვ. ბიჩკოვი (მოსკოვის ოლქი).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 85:112 (46:54).

„დინამო“: დარსაძე (22), ოპოშნიანი (20), კაპუსტინი (15), ტიუბინი (13), შენგელია (7), ტალაბაძე (3), უსტიაშვილი (3), ფერიაშვილი (2), ბოროდაჩოვი, კოლიჩევი.

„ჟალგირისი“: ხომიჩუსი (27), კურტინაიტისი (24), ეინიკისი (18), ბრაზდაუსკასი (14), იოვაიშა (9), კრაპიკასი (7), მარკიავიჩუსი (5), იანკაუსკასი (4), ლეკარაუსკასი (2), ჩივილისი (2).

მსაჯები: მ. ბერნატსი (ლიეპაია), ს. ფომინი (სმოლენსკი).

**წინა** წლებისაგან განსხვავებით თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა თამაში თავდასხმაში მეტნაკლებად მოგვარდა. ადრე ტანმაღალ კალათბურთელთა სიმცირეს მართლაც მწვავედ განვიცდიდით, იმდენად მწვავედ, რომ დერიუგინის გარეშე თამაში შეუძლებლად მიგვაჩნდა. ახლა მისი ტრავმა გუნდს თითქმის არც დატყობია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დინამოელებმა მკვეთრად გამოხატული ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციები წინა ხაზის სხვა მოთამაშეებზე გადაანაწილეს. ეს უთუოდ მიღწევაა, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მას არ უნდა მივანიჭოთ.

სამაგიეროდ გუნდს სხვა ახალი პრობლემა გაუჩნდა, გამთამაშებლის მწვავე დეფიციტი, რაც პირველ რიგში სანაძის ავადმყოფობითაა გამოწვეული. მესამე გამთამაშებლის როლის შესრულება ახალგაზრდა უსტიაშვილსაც შეუძლია (მას სწორედ ამისთვის ამზადებენ), მაგრამ ჯერ გამოცდილება, სათამაშო პრაქტიკა აკლია. მანამდე კი, ბრძოლის მთელი სიმძიმე ორ კალათბურთელზე — დარსაძესა და კაპუსტინზე გადადის. შეუცვლელად, მატჩიდან მატჩამდე თამაში, თანაც დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვით, დაგვეთანხმებით, ძნელი საქმეა.

მაგრამ ასე თუ ისე ამ ნაკლსაც ალბათ მოევლებოდა, დაცვაში რომ ყველაფერი რიგზე გვქონდეს. სხვათა შორის წინა წლებთან შედარებით ამ უბანზეც ერთგვარი პროგრესი შეიმჩნევა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საკმარისი არ არის. თორემ ოპოშნიანი, მაგალითად, უფრო აქტიურად და ნაყოფიერად იბრძვის ფარქვეშ, თამამად მონაწილეობს შეტევებში და ამდენად, გუნდისთვისაც ერთ-ორად უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს. მაგრამ ეს ჯერ წვეთია ზღვაში. ოპოშნიანს აშკარად სჭირდება ბოროდაჩოვის, ტიუბინის, კოლიჩევის, ტალაბაძის, ფერიაშვილის, მთელი გუნდის დახმარება.

კაუნასის „ჟალგირი-თან“ განმეორებითმა მატჩმა ჩვენი დაცვის სისუსტეები უფრო ნათლად, უფრო რელიეფურად წარმოაჩინა. ჩვენ სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ამ შეხვედრის შედეგზე „დინამო“ კონკრეტულ იმედებს ამყარებდა. ამაზე ფიქრი ნაადრევია, თანაც განსხვავება კლასში ჯერ კიდევ საგრძნობია. მაგრამ რა დასამალია და, დაცვაში უკეთ თამაში ალბათ მაინც შეგვეძლო.

ეს შეხვედრა ჩვენმა კალათბურთელებმა 27 ქულით წააგეს. ასეთ დიდ სხვაობას „ჟალგირისმა“ მეორე ტაიმში მიაღწია, როცა „დინამოს“ ბრძოლა, ფაქტიურად, შეწყვეტილი ჰქონდა და გუნდები მხოლოდ „ვალს იხდიდნენ“. მანამდე კი, მანამდე ნაღდი თამაში იყო და „ჟალგირისს“ მდგომარეობის გადასარჩენად მთელი ძალების, მთელი ოსტატობის მობილიზება დასჭირდა.

და მაინც თბილისის ტურის შედეგებით გულშემატკივარი უკმაყოფილო არ უნდა იყოს. გათამაშების ამ ეტაპზე „დინამო“ მხოლოდ ფინალურ ტურნირში მოხვედრისთვის იბრძვის. ეს ასე ვთქვათ მისი პროგრამა მაქსიმუმია. ამ პროგრამის შესრულება არა თუ შესაძლებლად, სავალდებულოდაც მიგვაჩნია. საამისო რეზერვები გუნდს გააჩნია, მერე კი, როცა სეზონის მთავარი ამოცანა გადაიჭრება, ახალგაზრდებზეც შეიძლება ფიქრი, მათ მაქსიმალურ დატვირთვაზე. უსტიაშვილმა, შენგელიამ, ბალათურიამ უკვე გვიჩვენეს რისი უნარი შესწევთ, რა შეუძლიათ. ახლა ისინი საქმეში უნდა გამოვცადოთ.

ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურიღა დარჩა. 7-10 იანვარს „დინამო“ დონეცკში ითამაშებს. აქ იგი ორ-ორჯერ შეხვდება მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტისა და რიგის ვეფ-ის კალათბურთელებს. ბოლო ტურის მატჩებს ჩვენი გუნდი ტალინში 15-18 იანვარს გამართავს „კალევთან“ და ლენინგრადის „სპარტაკთან“ (მეტოქეებს ამჯერადაც ორ-ორჯერ შეხვდება).

**ნოდარ ბუზუშვილი.**



### სხვა მატჩები

**კიევსა და ლენინგრადში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.**

**კიევი.** ასკ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 72:102 (32:52), „სტროიტელი“ (კიევი) — ცსკა 68:72 (32:48), „სტროიტელი“ — „დინამო“ 82:80 (46:30), ასკ — ცსკა 61:86 (35:47).

**ლენინგრადი.** ვეფ (რიგა) — „კალევი“ (ტალინი) 61:59 (36:30), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — რტი (მინსკი) 65:64 (33:42), რტი — „კალევი“ 84:73 (51:29), „სპარტაკი“ — ვეფ-ი 77:67 (39:33).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 14 | 0 | 1360-1107 | 28 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 14 | 13 | 1 | 1299-1156 | 27 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 14 | 8 | 6 | 1173-1209 | 22 |
| რტი (მინ.) | 14 | 7 | 7 | 1143-1134 | 21 |
| „დინამო“ (თბილისი) | 14 | 7 | 7 | 1275-1342 | 21 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრ.) | 14 | 6 | 8 | 1107-1121 | 20 |
| ვეფ (რიგა) | 14 | 6 | 8 | 1206-1288 | 20 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 5 | 9 | 1204-1195 | 19 |
| ასკ (კიევი) | 14 | 5 | 9 | 1170-1219 | 19 |
| „კალევი“ (ტალინი) | 14 | 5 | 9 | 1136-1169 | 19 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 14 | 5 | 9 | 1107-1214 | 19 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 14 | 3 | 11 | 1182-1248 | 17 |



## კალათბურთის სასახლეში

**ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სასახლეში 24-27 დეკემბერს ჩატარდება კალათბურთელ ქალთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის (I ლიგა) მორიგი ტური, რომელშიც გამოვლენ ტარტუს უსკ-ა, კაუნასის „ბანგა“, ფრუნზეს „სტროიტელი“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.**

**შეხვედრების დასაწყისი ყოველდღიურად 17 ს. 30 წთ.**

იუნიორ მოკრივეთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე

# უპირატესობა აშკარა იყო



როცა რინგზე უხმეს პირველ წყვილს, 48 კგ წონითი კატეგორიის მოკრივეებს რუმინელ პ. პარასკივსა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრს ნ. კოლიბაევს, ტურნირის ორი ლაურეატის ვინაობა უკვე ცნობილი იყო. 67 და 71 კგ წონით კატეგორიებში მოასპარეზე ოლეგ კრავჩენკომ (სსრკ) და ზვიად კაკიაშვილმა (საქართველო) ტრავმის გამო ვერ შეძლეს ასპარეზობის გაგრძელება და ამ წონებში ოქროს მედლები დიმიტრი კორსუნსა და ანდრეი კისელიოვს (ორივე — სსრკ) გადაეცათ. პირველი „ბრძოლით მოპოვებული“ ოქროს მედალი კი პეტრე პარასკივმა მიიღო. 54 კგ წონაშიც უცხოელმა მოკრივემ, კუბელმა მარიო კინდელანმა გაიმარჯვა, რომელმაც ასევე საკავშირო ნაკრების წევრს ანატოლი იზმაილოვს აჯობა.

მურად კასენოვმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა არტურ გეტშეანი (ორივე — სსრკ; 51 კგ), ბერიკ მუკაშოვმა — თემურ ბარანოვი (ორივე — სსრკ; 57), მაგომედ შაბუროვმა — ევგენი ზიკოვი (ორივე — სსრკ; 60), ვლადიმერ იუფეროვმა — ოლეგ ველიკანოვი (ორივე — სსრკ; 75), მიხეილ სურედენკომ (სსრკ; 81) — ალენ კოჟუხაროვი (ბულგარეთი), არტემ ტერ-აკოფიანმა — მიხეილ იურჩენკო (ორივე — სსრკ; 91), ვლადიმერ ელბაევმა — ევგენი ბელოუსოვი (ორივე — სსრკ; +91). ერთი სიტყვით, საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო, მათ 12-დან 9 ოქროს მედალი მოიპოვეს, გულშემატკივრები გაახარეს და მათი სიმპათიებიც დაიმსახურეს, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელი კრივის მოყვარულები მაინც გულდაწყვეტილები ტოვებდნენ დარბაზს და აი, რატომ: როგორც იცით, 63,5 კგ წონით კატეგორიაში ფინალურ შეხვედრაში გამოსვლის უფლება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, ქუთაისელმა მირზა ხურციძემ. მან კარგად ჩაატარა ეს ტურნირი, ყველა შეხვედრაში თავდაუზოგავად და მონდომებით იბრძოდა. ასე იყო ფინალშიც. როცა მისი და ბულგარელი დავიდ დავიდოვის ორთაბრძოლა დამთავრდა, დარბაზში შეკრებილ მრავალრიცხოვან მაყურებელს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მსაჯი გამარჯვების ნიშნად ხურციძის ხელს აღმართავდა, მაგრამ მოხდა პირიქით: გამარჯვებულად ბულგარელი მოკრივე გამოაცხადეს.

რა თქმა უნდა, გულშემატკივარი შეიძლება შეცდეს, გუმანმა უმტყუნოს და მტყუან-მართალი ვერ გაარჩიოს, მაგრამ, როცა ფინალური ორთაბრძოლების დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციის ტექნიკურ დელეგატს, ავსტრიელ არბიტრს ლოთარ შეერს, ყოველგვარი ეჭვი გაგვიქარწყლდა: „ტურნირი საერთოდ კარგად იყო ორგანიზებული, თბილისელებს თავი არ დაუზოგავთ, შეჯიბრების მონაწილეებისათვის ასპარეზობისა და დასვენების შესანიშნავი პირობები რომ შეექმნათ. აი, თქვენმა მოკრივემ კი მსაჯების „წყალობით“ დაკარგა გამარჯვება“.

თბილისის ტურნირი შეტანილია ევროპის სამოყვარულო კრივის ფედერაციის კალენდარში.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

# ...ლაპარაკობს სპორტის სასახლე!

**სპორტს** ბევრი უჩინარი და ერთგული მსახური ჰყავს. მათ არაფრის პრეტენზია არა აქვთ, კეთილსინდისიერად უძღვებიან მინდობილ საქმეს და შეძლებისდაგვარად ყველას ხელს უმართავენ. სპორტის ერთი ასეთი უანგარო მსახურთაგანია სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „გრუზსელხოზმაშის“ ტექნიკური განყოფილების გამგე, ინჟინერ-მექანიკოსი ოთარ ანანოვი — თბილისში, ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ცნობილი და პოპულარული დიქტორ-ინფორმატორი, სპორტის მრავალი დარგის მცოდნე და მისი დაუღალავი პროპაგანდისტი.

ორმოცი წელია იგი მიკროფონს უზის. კალათბურთელთა და ხელბურთელთა, ფრენბურთელთა და ჩოგბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა და ცხენოსანთა, რეგბისტთა, მოჭიდავეთა, მძლეოსანთა, სპორტის სხვა სახეობათა რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირები მისი ხავერდოვანი ხმის გარეშე ვერც წარმოგვიდგენია. ოთარ ანანოვი დღისით, სამსახურის საათებში თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებს და უნდა ითქვას, რომ აქაც საერთო პატივისცემით სარგებლობს, როგორც უნარიანი და მცოდნე მუშაკი. სამსახურის შემდეგ კი... იწყება მისი მეორე ცხოვრება — შთაბეჭდილებებით აღსავსე, ღრმა და შინაარსიანი.

სპორტში, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შემთხვევით მოვიდა. 1946 წელს თბილისში მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა ტარდებოდა საქართველოსა და ლატვიის გუნდებს შორის. იმ დღეს, რაღაც მიზეზით დიქტორი არ გამოცხადდა და შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მძლეოსნური სპორტის დიდმა მოამაგემ ლელიკო გიორგაძემ მას დახმარება სთხოვა. ამ დღეს შედგა ოთარ ანანოვის, როგორც დიქტორის დებიუტი. ერთი წლის შემდეგ გაზაფხულზე იგი უკვე მძლეოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ოფიციალური დიქტორი იყო. მაშინ დაიწყო...

ერთხელ ოთარს შევეკითხეთ:

— სპორტის ამდენ სახეობას რომ ემსახურებით, რომელიღაც ალბათ მეტად გიყვართ, უფრო ახლოსაა თქვენს გულთან და ბუნებასთან.

— პროფესიონალი დიქტორისთვის განსხვავება სპორტის სახეობებს შორის არ უნდა არსებობდეს. მაგრამ მე პროფესიონალი დიქტორი არ გახლავართ. პროფესიონალი ჩემს საინჟინრო საქმეში ვარ, ამიტომ, როგორც მოყვარული გიპასუხებთ: ყველაზე უფრო მეტად კალათბურთი და ცხენოსნობა მიყვარს.

ცხენოსნობისა რა მოგახსენოთ, ეს ცხენოსნებსვე უნდა ვკითხოთ, მაგრამ კალათბურთში დიქტორობის გარდა იგი სხვა ბევრ სასარგებლო საქმესაც აკეთებს. იგი განსაკუთრებით საჭირო კაცია ჟურნალისტებისთვის და ისინიც, მის უანგარო სამსახურს დიდად აფასებენ.

ოთარ ანანოვი სპორტული სტატისტიკის დარგის დიდი მცოდნეა, აქვს ყველა მონაცემები თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებსა და კალათბურთელებზე, ჩვენს საუკეთესო მოჭიდავეებზე, ცხენოსნებზე. მას ხშირად მიმართავენ თხოვნით მწვრთნელები და ამა თუ იმ მეტოქეზე ამომწურავ ინფორმაციასაც იღებენ.

ოთარ ანანოვს ბევრი პიროვნული ღირსება გააჩნია და ამიტომაც მასთან კონტაქტი სასიამოვნოცაა და იოლიც. ჩვენი სპორტის გულშემატკივრები მის ხავერდოვან ბარიტონს ყველა სხვა ხმაში ანსხვავებენ, განსაკუთრებით როცა ტრიბუნებზე მსხდომთ პათეტიური ტონით მიმართავს:

ყურადღება! დღეს თბილისის სპორტის სასახლეში...



**ს უ რ ა თ ზ ე: კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის სამდივნო თბილისის სპორტის სასახლეში. მიკროფონთანაა (მარჯვნიდან მეოთხე) ოთარ ანანოვი.**

## გ. კასპაროვ—ა. კარპოვის მატჩი

# ახლა უკვე სამი წლით

**გადადებული** ოცდამეოთხე პარტიის დამთავრებისას კარპოვი დიდხანს ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა შესანიშნავად გამოიყენა ზედმეტი პაიკი და უპირატესობა.

აი, როგორ პოზიციაში იყო გადადებული ეს პარტია:

### ოცდამეოთხე პარტია

თეთრები (კასპაროვი). მფg1, ლb5, კe4, პ. e3, f2, g3, h2; შავები (კარპოვი). მფg8, ლe7, მf8, 5. e6, g7, h6.

თამაში ასე გაგრძელდა: 42. მფg2 (ჩაწერილი სვლა) g6 43. ლa5 ლg7 44. ლc5 ლf7 45. h4 h5 46. ლc6 ლe7 47. კd3 ლf7 48. ლd6 მფg7 49. e4 მფg8 50. კc4 მფg7 51. ლc5+ მფg8 52. ლd6 მფg7 53. კb5 მფg8 54. კc6 ლa7 55. ლb4 ლc7 56. ლb7 ლd8 57. e5 ლa5 58. კe8 ლc5 59. ლf7+ მფh8 60. კa4 ლd5+ 61. მფh2 ლc5 62. კb3 ლc8 63. კd1 ლc5 64. მფg2.

შავები დანებდნენ.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 12:12. 24 წლის ბაქოელმა დიდოსტატმა გარი კასპაროვმა ახლა უკვე სამი წლით შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ამრიგად, ამ ორი მოჭადრაკის ურთიერთშეხვედრათა ყველა შედეგის გათვალისწინებით (იგულისხმება მსოფლიო პირველობის მატჩები) ანგარიშია 60,5:59,5, კასპაროვის სასარგებლოდ.

დასრულდა უკიდურესობამდე დაძაბული კიდევ ერთი, რიგით მეხუთე ორთაბრძოლა თანამედროვეობის ორ უძლიერეს მოჭადრაკეს შორის — მეოთხე მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. ის, რომ ამ ოთხიდან სამ მატჩში გარი კასპაროვმა გაიმარჯვა (როგორც გახსოვთ, ამ მეტოქეების პირველი ორთაბრძოლა შეწყდა და არ დამთავრებულა), მსოფლიო ჩემპიონის უდიდეს ნიჭსა და ძალაზე მეტყველებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ შეხვედრას, როგორც ბევრი სპეციალისტი ამბობს და როგორც ჭადრაკის ყველა მოყვარული მიხვდება, მსოფლიო ჩემპიონი ვერ შეხვდა სათანადო სპორტულ ფორმაში, ხშირად მოსდიოდა შეცდომები. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, თითქოს იგი მატჩის ფრედ დამთავრებაზეც ყაბულსაა და ზედმეტად თავის შეწუხება არ სურსო. მაგრამ მატჩის ბოლო პარტიაში გარი კასპაროვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ძალა. მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონმა მატჩის 24-ე პარტიაში ნათლად გვიჩვენა, რომ ჭადრაკში მთავარია უზარმაზარი ნიჭიერება, შეუპოვრობა, ექსტრემალურ სიტუაციაში მოთმინების უნარი...

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, რომელიც [illegible] პარტიაში ჩვეული შეუპოვრობით იბრძოდა და ახლოსაც იყო ტიტულის დაბრუნებასთან, მაგრამ ბოლო პარტიაში ხელი მოეცარა და წადილი ვერ აისრულა. მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის ფრედ დამთავრება ყველასთვის საამაყოა, და, ვფიქრობთ, ანატოლი კარპოვი ძალიან არ უნდა ემდუროდეს ბედს.

ასეა თუ ისე, დამთავრდა კიდევ ერთი გრანდიოზული მატჩი, მსოფლიო ჩემპიონმა კიდევ სამი წლით შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება. მივულოცოთ მას ეს დიდი გამარჯვება და შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ.

## ევროპის ჩემპიონატი

**დამთავრდა** 1988 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. მალტის დედაქალაქ ვალეტაში შედგა უკანასკნელი შესარჩევი მატჩი II ჯგუფის გუნდებს შორის. მალტელმა ფეხბურთელებმა პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში მარცხი იწვნიეს —0:1, ერთადერთი ბურთი 74-ე წუთზე გაიტანა ფრედერიკომ.

გთავაზობთ ყველა შესარჩევი ჯგუფის საბოლოო შედეგებს:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | | | |
| ესპანეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-6 | 10 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-3 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-17 | 0 |
| **II ჯგუფი** | | | | | | |
| იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 16-4 | 13 |
| შვეცია | 8 | 4 | 2 | 2 | 12-5 | 10 |
| პორტუგალია | 8 | 2 | 4 | 2 | 6-8 | 8 |
| შვეიცარია | 8 | 1 | 5 | 2 | 9-9 | 7 |
| მალტა | 8 | 0 | 2 | 6 | 4-21 | 2 |
| **III ჯგუფი** | | | | | | |
| სსრ კავშირი | 8 | 5 | 3 | 0 | 14-3 | 13 |
| გდრ | 8 | 4 | 3 | 1 | 13-4 | 11 |
| საფრანგეთი | 8 | 1 | 4 | 3 | 4-7 | 6 |
| ისლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 4-14 | 6 |
| ნორვეგია | 8 | 1 | 2 | 5 | 5-12 | 4 |
| **IV ჯგუფი** | | | | | | |
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 19-1 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 4 | 0 | 2 | 13-9 | 8 |
| ჩრ. ირლანდია | 6 | 1 | 0 | 4 | 2-10 | 3 |
| თურქეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-16 | 2 |
| **V ჯგუფი** | | | | | | |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 2 | 0 | 15-1 | 14 |
| საბერძნეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-13 | 9 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 13-11 | 8 |
| პოლონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-11 | 8 |
| კვიპროსი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-16 | 1 |
| **VI ჯგუფი** | | | | | | |
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 4-2 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 7 |
| უელსი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-5 | 6 |
| ფინეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 3 |
| **VII ჯგუფი** | | | | | | |
| ირლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 10-5 | 11 |
| ბულგარეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-6 | 10 |
| ბელგია | 8 | 3 | 3 | 2 | 16-8 | 9 |
| შოტლანდია | 8 | 3 | 3 | 2 | 7-5 | 9 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-23 | 1 |

შეგახსენებთ 8 ფინალისტის ვინაობას: **გფრ, ესპანეთი, იტალია, სსრ კავშირი, ინგლისი, ჰოლანდია, დანია, ირლანდია.**

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილი მომავალი წლის 10-25 ივნისს გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში.

ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დიუსელდორფში გამოაქვეყნეს ცნობა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და იტალიის გუნდებთან ერთად ამ შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე ფინალში, ე. წ. „განთესვის" წესით, მონაწილეობას მიიღებენ ჰოლანდიელებიც. ამ პრინციპით იხელმძღვანელეს ორგანიზატორებმა გფრ-ის გუნდის მიმართ, ვინაიდან იგი ტურნირის ორგანიზატორია, ხოლო დანარჩენ სამს უპირატესობა მიეცათ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისა და ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში ნაჩვენები შედეგების შესატყვისად.

დიუსელდორფში ისიც ცნობილი გახდა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში პირველ ჯგუფს სათავეში ჩაუდგება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, ხოლო მეორე ჯგუფს — ინგლისის გუნდი.

### დიეგო მარადონა შინ დაბრუნდება

27 წლის არგენტინელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი დიეგო მარადონა იტალიის „ნაპოლიში" გამოდის და ამ კლუბში ითამაშებს კიდევ 5 წელს, ე. ი. 1993 წლამდე. „ნაპოლის" და დ. მარადონას შორის ახალი კონტრაქტის ხელმოწერა იტალიის ტელევიზიით გადასცეს.

დიეგო მარადონამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამის შემდეგ იგი დაბრუნდება არგენტინაში, თავის მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში", სადაც სურს თავის გვერდით იხილოს უმცროსი ძმები უგო და ლალო, რომლებიც ასევე პროფესიულ კლუბებში გამოდიან.

### ჩეხოსლოვაკიელთა წარმატება

მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში დამთავრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „მერდეკის" თასზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური გუნდი და სამხრეთ კორეის ნაკრები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა.

### დაწინაურდა „რეალი"

თუ ესპანეთის კალათბურთელთა შარშანდელი ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობა მადრიდის „რეალის" წარუმატებლობა იყო, წლეულს ეს გუნდი ჩინებულად თამაშობს. მას აშკარად დაეტყო პროფესიონალთა რიგებიდან ფერნანდო მარტინის დაბრუნება. ძლიერად თამაშობენ ამერიკელი ვარსკვლავები ბრანსონი და ალექსი. „რეალმა" ბოლო სამ ტურში ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და ესპანეთის ჩემპიონატში დამაჯერებლად ლიდერობს თავის ჯგუფში (უმაღლესი ლიგა ესპანეთში ორ ჯგუფადაა გაყოფილი).

„რეალმა" ერნანდო მარტინის ჩინებული თამაშის წყალობით (44 ქულა) მეთერთმეტე ტურში დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე — 104:87. შემდეგი ტურის მატჩს ბადალონაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მასპინძლები კვალში მიჰყვებოდნენ ლიდერს. „რეალმა" ეს მძიმე მატჩი ძალზე ძნელ ბრძოლაში მოიგო — 86:82. კვლავ ძლიერად ითამაშა ფერნანდო მარტინმა (22 ქულა). მეთორმეტე ტურში „რეალმა" დამაჯერებლად დაამარცხა „კაია კანარიანი" — 105:82, მეცამეტე ტურში „რეალმა" სძლია „ბანკომაოს" — 111:84. „რეალმა" ცამეტივე მატჩი მოიგო და ლიდერობს.

მეორე ჯგუფში წარმატებით გამოდის „ფორუმ ფილატელიკო", მას ფეხდაფეხ მისდევს სახელგანთქმული „ბარსელონა", რომელმაც ბოლოსწინა ტურში სძლია ბილბაოს კალათბურთელებს ანგარიშით 102:93; ხოლო ბოლო ტურში „კაკაოლატი" დაამარცხა — 124:86. მესამე ადგილზეა „ესტუდიადანტერი".

**მერაბ კალანდაძე.**

## საქართველოს პირველობა

### გათამაშების საბოლოო ცხრილი ◎ I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" (მახარაძე) | 46 | 30 | 12 | 4 | 88-33 | 72 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 46 | 30 | 11 | 5 | 101-42 | 71 |
| „შადრევანი" (წყალტუბო) | 46 | 27 | 8 | 11 | 83-52 | 62 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 46 | 21 | 9 | 16 | 86-69 | 51 |
| „ხულორი" (ვანი) | 46 | 20 | 10 | 16 | 68-55 | 50 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 46 | 19 | 10 | 17 | 60-68 | 48 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 46 | 19 | 9 | 18 | 77-65 | 47 |
| „ივერია" (ხაშური) | 46 | 19 | 8 | 19 | 69-65 | 46 |
| „მადნეული" (ბოლნისი) | 46 | 18 | 10 | 18 | 74-68 | 46 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 46 | 19 | 7 | 20 | 66-66 | 45 |
| „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) | 46 | 18 | 9 | 19 | 62-44 | 45 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 46 | 17 | 11 | 18 | 74-75 | 45 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 46 | 19 | 6 | 21 | 78-75 | 44 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 46 | 17 | 10 | 19 | 84-82 | 44 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 46 | 17 | 10 | 19 | 62-70 | 44 |
| „არმაზი" (მცხეთა) | 46 | 16 | 12 | 18 | 72-73 | 44 |
| „დინამო" (გაგრა) | 46 | 15 | 14 | 17 | 65-75 | 44 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 46 | 16 | 11 | 19 | 78-78 | 43 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 46 | 15 | 13 | 18 | 54-61 | 43 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 46 | 15 | 13 | 18 | 62-81 | 43 |
| „კახეთი" (თელავი) | 46 | 17 | 7 | 22 | 81-85 | 41 |
| „იმერეთი" (ქუთაისი) | 46 | 17 | 7 | 22 | 64-90 | 41 |
| „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) | 46 | 15 | 7 | 24 | 70-92 | 37 |
| ახ. საფ. სკოლა (თბილისი) | 46 | 4 | 0 | 42 | 34-153 | 8 |

შენიშვნა: ქუთაისის „იმერეთში" და ჩხოროწყუს „სამეგრელოში" ითამაშა დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა ზ. გელაშვილმა. საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის გადაწყვეტილებით გაუქმებულია იმ თამაშების შედეგები, რომლებშიც მონაწილეობდა ზ. გელაშვილი: „იმერეთი" (ქუთაისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:0, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:0, „ივერია" (ხაშური) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:2, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „იმერეთი" (ქუთაისი) 3:1.

ოჩამჩირის „ამირანს" მოგება ჩაეთვალა ქუთაისის „იმერეთთან". ჩხოროწყუს „სამეგრელოსთან" მოგებები ჩაეთვალათ ცხინვალის „სპარტაკს", ხაშურის „ივერიას", თბილისის ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლას, გორის რ-ნის „ქართლს", ბოლნისის „მადნეულს" და ქუთაისის „იმერეთს".

ამასთან დაკავშირებით გათამაშების ცხრილში შეტანილია გარკვეული ცვლილებები.

### წინ ფინალია

**ნებაყოფლობით** სპორტულ საზოგადოებათა გაერთიანების შედეგად ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სპორტული ორგანიზაციები საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობაში იმყოფებიან. ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთისა და სპორტული თამაშების სამმართველოს ხელმძღვანელობით მიმდინარეობს საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში უმაღლეს სასწავლებლებს შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 14 უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა.

უკვე ჩატარდა ნახევარფინალური შეხვედრები. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდების ორი შეხვედრის შედეგად გაიმარჯვეს ზოოტექნიკოსებმა, ხოლო გორის ეკონომიკის ინსტიტუტის ფეხბურთელებმა დაამარცხეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

ამგვარად, გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და გორის ეკონომიკის ინსტიტუტის გუნდებმა. ეს მატჩი 27 დეკემბერს შედგება თბილისში.

**არდევან ნიკოლაიშვილი,**
**გათამაშების მთავარი მსაჯი.**

### სამ ასაკობრივ ჯგუფში

1987 წლის მიწურულს გაიმართა საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფინალური გათამაშება მინიფეხბურთში 1973-78 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ზონებში გამარჯვებული გუნდები.

1977-78 წლებში დაბადებულ ნორჩთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტყიბულისა და სოფ. ნატანების (მახარაძის რ-ნი) გუნდები, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ტყიბულელებმა (მწვრთნელი გ. ქარქაშაძე).

1975-76 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ წულუკიძისა და მახარაძის გუნდები. წარმატება წილად ხვდათ წულუკიძელებს— 2:1 (მწვრთნელი ე. კაკაურიძე).

ყველაზე უფროს ასაკში (1973-74 წლებში დაბადებულნი) ფინალური მატჩი შედგა ქ. მახარაძისა და სოფ. ლაითურის (მახარაძის რ-ნი) გუნდებს შორის წარმატებას ლაითურელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს — 8:6 (მწვრთნელი ზ. ჯინჭარაძე).

**შოთა ხანიაშვილი,**
**საზოგადოების უფროსი ინსტრუქტორი.**

### მედიკოსთა ტურნირი

**წლეულს** ჩვენს რესპუბლიკაში მინიფეხბურთელთა არაერთი საინტერესო ტურნირი მოეწყო. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება ახლახან დამთავრდა თბილისის სპორტის სასახლეში. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზისათვის 16 გუნდი იბრძოდა. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის ქირურგიის ინსტიტუტისა და ბათუმის მედიცინის მუშაკთა ნაკრები გუნდები. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს თბილისელებმა და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილისათვის შეხვედრაში ქუთაისელმა მედიკოსებმა დაამარცხეს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნაკრები — 4:3.

### „სპორტპროგნოზი"

**51-ე ტირაჟის შედეგები (19-20 დეკემბერი)**

1-1, 2-2, 3-X, 4-2, 5-1, 6-1, 7-2, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-1, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 51-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 1 (კალათბურთი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 21 (ცურვა), 37 (აკრობატიკა), 38 (მთამსვლელობა).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 2 (ბიატლონი), 6 (ძიუდო), 15 (ზაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა).

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 24 დეკემბერს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ნავთა ინდექსი 66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07289